საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 28 დეკემბრის

დადგენილება №2273

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და
დიზაინის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, ბიზნესტექნოლოგიების,
აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის და საინჟინრო
ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტების სადოქტორო პროგრამებზე
კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

გამოცხადდეს მიღება 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „არქიტექტურა“ (2 ადგილი), „არქიტექტურათმცოდნეობა“ (1 ადგილი); ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია“ (2 ადგილი), „მასალათმცოდნეობა“ (1 ადგილი); ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „ბიზნესის ადმინისტრირება“ (3 ადგილი), „ფინანსები“ (1 ადგილი); აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „სასურსათო ტექნოლოგია“ (3 ადგილი), „სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია“ (3 ადგილი), „აგრარული ტექნოლოგიები“ (1 ადგილი); საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „არქეოლოგიაზე“ (1 ადგილი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე